

გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტრი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Въ Тифлисе, въ редакцію газеты „ДРОБНА“.



ხელის-მოწერა

თფილისში: ბაქთინი ქ. დროშის ქ. კანტორაში. ქუთაისში: ანტონოვი ქ. ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდგენი ადრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисе, въ контору газеты „ДРОБНА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მედნაზე, შაბუროვის სახლებში.

ზინაარი:

„დროების“ განცხადება — საქართველო: ძაცხის გლეხების საქმე — წერილი ამბები — „დროების“ კორრესპონდენცია: მუთისი — შიკრიკი — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — სამართალი: ლუარსაბ შიქინაძის საქმე — ბიბლიოგრაფიული და სხვა მანცხადებები — ცნობათ-ფურცელი. ველტონი: სტატია მეველისა.

„დროება“

1874-ში გამოვა იმავე პროგრამით და იმავე პირობების თანამშრომლობით, როგორც წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისს — „დროების“ კანტორაში, ივანოვის ბიბლიოტეკაში. ქუთაისს — ანტონოვი ქ. ბიბლიოტეკაში.

ზარევე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნები: Въ Тифлисе, въ контору газеты „ДРОБНА“.

„დროება“ ელირება გაზეთით: ერთი წლით — ექვს მანეთად, ნახევარი წლით — სამ მანეთად.

„პრებული“ და „დროება“ ერთად ელირება გაზეთით: ერთი წლით — ცხრა მანეთად და ნახევარი წლით — ხუთ მანეთად.

მისაც ამ წლის „დროების“ ფასი არ შემოუტანია; ვთხოვთ, მალე გამოგზავნოთ რედაქციაში.

საქართველო

კაცხის გლეხების საქმე.

იმ გლეხების შესახებ, რომელთაც თ. აბაშიძეები ითვისებენ, ჩვენ ორივე მხრიდან მივიღეთ დაწერილებითი აწერილობა იმ სიმართლებისა, რომელზედაც თითოეული მხარე თავის საჩივარს აფუძნებს. სხვა და სხვა გარემოებების გამო ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ შევიძლიათ ამ ნომერში ორივე მხარის სიმართლის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა. ღვს მართა ერთ კორრესპონდენციას ებუქდავთ, რომელიც საქმეს აბაშიძეების სასარგებლოდ აჩვენებს. შემდეგ ნომერში კი იმედი გვაქვს წარუდგინოთ მკითხველს ცნობები, რომელითაც გლეხები თავის სიმართლეს ამტკიცებენ. ამასთანავე, თუ შევიძლიათ, ჩვენს საკუთარ შეხედულობასაც გამოვთქვამთ ამ მეტად საინტერესო საქმეზედ.

— „თფილისის მოამბის“ №120 ში დაბეჭდილია ერთი ძლიერ საინტერესო კორრესპონდენცია, რომლიდანაც ვეცნობილობთ, რომ შოთის ქალაქს 1867-დგან 1873-მდის ჰქონია სახარჯოთ საზოგადო საქროებებისათვის: მმართველობისაგან დათმობილი ზაყის ნაწილი 132,421 მან., 1867-ში პოლიციისთვის ჩაუბარებიათ ქალაქის მმართველობის გადაცემის დროს 1867-ში ქალაქის შემოსავლისაგან დარჩენილი 40 ათასი მანეთი, რკინის გზის კამპანიისგან მიწების ფასათ აღებული 43 ათასი მან., სულ 215,421 მანეთი. ამასგარდა ქალაქს ყოველ წლივ შემოსავალი ჰქონია შემდეგი ბაჟი: ა) ვაჭრობის ნება-დართვის, ბ) მუშებისა და მოსამსახურეებისაგან, გ) სასწიგის ფული, დ) პარომისა და ნავეების ბაჟი, ე) სათევზე, ე) ხე-

ტყის, ზ) შეშის მოსაჭერი, ც) იზვოზნიკებისა და მეურნეებისაგან, თ) საყასბო, ი) ნოტარიული ქალაღდების შედგენისთვის, კ) დერბის ქალღდის, და ლ) ადგიღების გაყოღდით აღებული ფული.

შველა ეს რომ 215 ათასი მანეთთან შედგერთოთ იმდენი ფული შედგება, რომ შოთის ქალაქის საქროებები ყოველისმხრით დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო.

მაგრამ კორრესპონდენტი ამბობს, რომ ქალაქს თითქმის სრულიად არავითარი სიკეთე არ ატყვიაო. თითქო შესახედავთ ორიოდ ქუჩა მოუკენებეთ, უსაქმური კაცების სახეტილო ბალი გაუკეთებიათ და ქალაქის უმეტესი ნაწილი კი სულ საფლობ ტალახათ და ტბებათ გარდაქეული არიო. ამისგამო შოთში განშირებულია ცივებ-ცხელეზა და მრავალი კვდება, მეტადრე ყმაწვილებიო.

კორრესპონდენტი ამბობს: თუ მინისტრი ყოველ წელს აცხადებს გაზეთებში მთელი სახელმწიფო მმართველობის შემოსავალ-გასავალს, რა ცუდი იქნებოდა, რომ ჩიენი ქალაქის შემოსავალ-გასავალიც იბეჭდებოდეტ, რომ შევიტყოთ, თუ რაზედ იხარჯება ეს ჩიენი ფულებიო.

— წარსულს ორშაბათს (ნოემბრის 19) უფ. ამერიკიანი გამოეთხოვა თფილისის საზოგადოებას სომხური წარმოდგენით, რომელიც სახამთრო თეატრში მოხდა. მთელი თეატრი საესე იყო ხალხით, ისე რომ ერთი ცალიერი ადგილიც არ დარჩენილა და მთელი საზოგადოება აღტაცებით მოექცა და გულმხურვალეთ გამოეთხოვა თავის საყვარელ მოთამაშეს.

მს გასაკვირველიც არ არის: უფ. ამერიკიანი ერთი იმ იშვიათ პირთაგანია, რომელთაც დაურახებიათ აქ სომხური თეატრი და დიდის გასაკირით და მეცადინეობით უხელმძღვანეობათ ამ საქმისათვის. ღვს

ის თფილისის სტოვეებს და აქაურ სომხურ საზოგადოებას, რასაკვირველია, დიდისსიწრეულით უნდა გამოეცხადებია მისთვის გულითადი მადლობა და თანაგრძნობა. ამ გვარი ოვაციები სასიქადულო და საქებია, როგორც იმ პირისთვის, რომლის გულისთვის ისინი მოუხდენიათ, ისე, განსაკუთრებით, იმ საზოგადოებისთვის, რომელიც თავისი მსახურების და მეგობრების ერთგულ-შრომას პატივს-სცემს და არ ივიწევებს.

— „თფილისის წრე“ ამ წამთარში ლექციები გაშართვას აპირებს. რამდენიმე მკითხველები კიდევ მიიწვიეს. რასაც ამ ლექციების მსმენელებისაგან ფულს შეჭკრებენ, იმის ნაწილით თფილისის გიმნაზიების ქალ-ვაჟს მოსწავლეებს უნდს შეეწიონ.

— ამ მარხვაში ქართული სცენის მოყვარენი მოლოერის კამედიის „სკაპანის“ წარმოდგენას აპირებენ და ერთი-ორი როლის წარმომადგენლებს იმერეთიდან იწვიენ.

— ამ უკანასკნელს დროს გაზეთებმა ერთი ყოველი პატიოსანი კაცისათვის სასიამოვნო ამბავი შეგვატყობინა: ოსმალეთის მმართველობას უბრძანებია ყველა იმ გუბერნატორებისათვის (ფაშებისათვის), რომელთა სამმართველოშიც ძაყვასიილამ გასული ჩერქეზები სახლობენ, რომ იმათ ჩერქეზების განათლებაზედ ჯეროვანი ყურადღება იქონიონ. გუბერნატორები ვალდებული არიან, მოახდინონ განკარგულება, რომ თუ სადმე ჩერქეზების სოფლებში, ან იმათ მახლობლად, შკოლებია, იქ უთუოდ ყოველმა ჩერქეზმა თავისი შვილები სასწავლებლად უნდა გააგზავნოს. და სადაც შკოლა არ არის იქ გუბერნატორებმა შკოლები უნდა გააკეთებინონ, და ყოველი ღონე უნდა მოიხმარონ, რომ ჩერქეზებს სწავლისა და განათლების ხალისი აღძვრასთ. — მინ იფიქრებდა, თუ ოსმალეთის მმართველობა, რომელიც მეროპაში დღემდისაც უმეცრებისა და ყველაფერში დაუკანაგების მაგალითად ყავთ,

ფელტონი

დროების წასრულ №-ში ჩვენ შევპირდით მკითხველს, „სამეურნეო საზოგადოების“ სხდომის სახის გაცნობა და დაწერილებითი აღწერა იმ კითხვისა, რომელიც უფ. ახვლედიანის წინადადებამ აღძრა სამეურნეო საზოგადოებაში, სახელდობს სამხანაგო ყველის ქარხანის საქმისა, რომელიც იყო 13 ამ თვის სხდომის საგანი.

მაგრამ უარს ვამბობთ ამ პირობის შესრულებაზე. „რატომო?“ თუ გვეკითხავს ვინმე — იმის პასუხსაც მოვანერგებთ. — მაგრამ ჩვენ სრულებით არ გესურს დამნაშაების სკამზედ დაეჯდეთ, და ვინმე მსაჯულად გავანადოთ ასე გახლავს ეს, ჩემო ბატონო!

ახლა, ბევრს საყვედურს თავი დავანებოთ, თორემ ჩვენ ადვილად მოვანახეთ იმისთანა მაგალითებსაც, სადაც უპარულობა შემჩნეული და დამტკიცებულიც ჰქონდეს „თქვენგან პატივცემულ და დარბაისელ კაცებს“, აგრეთვე დარბაისელ და პატივცემულ საზოგადოებებს.

ბსურთ დამტკიცება? — თქვენი ახალი ქეიფი იყო! ისმინეთ: ბანა ნაპოლეონ პირ-

ველმა და მესამემ წარ მისცეს სიტყვა საფრანგეთის ხალხს, რომ ისინი ეცდებოდნენ, დაედგინათ საფრანგეთში ბედნიერება და კმაყოფილება თითოეულის საზოგადოების კლასისა — განურჩევლად! მერმე რა ჰქმნეს მათ? შესარულეს თავიანთი ალთქმა სამშობლოს წინაშე? როგორ არა!... ხალხმა ერთიცა და მეორეც ჩამოაგდო ტახტიდგან და განაგდო. ამნაირათ დაიმსახურეს იმათ შემდეგში თავის ქვეყნის სიყვარული და მადლობა. მს დიდი მაგალითია მხლა შევხედოთ ჩვენს მკირე ჯხოვრებაშიც.

ის პირები, რომელიც ჩვენმა ხალხმა გამოზარდა თავის ნაშრომით, რომელზედაც საზოგადოებას იმედი ჰქონდა, რომ ისინი აღმალდებდნენ ჩვენს ბნელს და მწუხარე სიცოცხლეს, ვკითხულობთ ჩვენ დღეს, გამოდგენ ნამდვილად საზოგადო მიზნისთვის მოღვაწენი? შეიქნენ პატიოსანი და განათლებული მამულის შვილები? მგონებ არავინ გვიპასუხოს — დიდა. მგონებ ვერავინ მიგვითითოს მათგან კემპარტი სარგებლობის მოტანაზედ საქართველოსთვის?

მხლა გავიხსენოთ: რას გვპირდებოდნენ ჩვენ ეს საპატიოები? და რასა ვხედავთ... ჩვენ გვრცხენია ამხედ ერთი სიტყვისა და პატივაც.

მეორე დამტკიცება: საზოგადოება ყოველ

დღე აცხადებს თავის მღვდლების, მწერლების, მქადაგებლების და, უკანასკნელად, თავის საქმის კაცების პირობით, რომ ის დამცველია სამართლიანობის, კემპარტიების, თავისუფლების, ზნეობის და სხვ. და სხვ.

მაგრამ, შეეხედოთ ნამდვილ სიცოცხლის ბრძოლაში: ასეა ეს? საზოგადოება ნამდვილად იცავს ყველა ამ საგნებს, რომელიც ჩამოეთვალე და წინააღმდეგია ადამიანის დაჩაგვრის, უსამართლობის, გარყვნილების, სიცრუის, უზრდევლობისა და სიბნელისა?

ბეჯითად და ხმა მალა ვატყვიოთ, რომ საზოგადოება ნიდავ და ყოველთვის სტებს, აყალბებს და არა სწამს ის, რასაც აშკარათ და საქვეყნოდ აღიარებს. თუ მას ერთი დანგი პატევი და სიყვარული ჰქონდეს თავისი „საგარეო“ სუფილისა — მ.შ რათ ითმენს? ითმენს კი არა — პატივსა სცემს, უყვარს ისეთი თავისი წვეთაგანები, რომელნიც თვით უსასტიკესად არდევენ ყოველს ზნეობის და პატიოსნების კანონს.

ძიდე მეორე დამტკიცება: საზოგადოება რომ ნამდვილად ასრულებდეს მისგან ცნობილს საქვეყნოდ აზრებს, განა კაცობრიობა ბედნიერების, სამართლიანობის და პატიოსნების მთაზედ არ იქნებოდა დღეს? მაგრამ, როგორც თქვენი ბედნიერი თვლით ხედავთ; ამ მთაზედ ჯერ არ არის დაან როდის იქნება იქ — ეს უფალმაც არ უწყის.

ბი ცოცხალი მაგალითები: ინგლისმა განა არ შეპირდა ინდოეთს, რომ ის იქ შეიტანდა ყოველ ნაირ განათლებას, ბედნიერებას და სამართლიანობას?

ოსმალეთმა არ აღუთქვა კანდიელებს რომ ის გაუშვობდეს იმათს ცხოვრებას, რომ ოსმალეთის მოუსვენარი მეცადინეობა იქნება, დააკმაყოფილოს ხალხს სურვილი, თუ კი ისინი დემორჩილებიან დიდებულ პორტას. უკანასკნელად: პრუსიამ არ განოაცხადა განა უკანასკნელ ომის დროს, რომ ის ნაპოლეონის პირისპირ იბრძვის, და არა საფრანგეთის ხალხისა.

მკითხველი მიხედა, უთუოდ, რომ ეს მაგალითები ჩვენი აზრის გასამართლებელია. და მართლაც! შევლგან: ინდოეთში, საბერძნეთში და საფრანგეთშიაც ხალხი უსინილიოთ, ცხადათ შეიქნა მოტყუებული.

ინგლისი, თურმე თავის ვაჭრების გასამდიდრებლად მიდიოდა ინდოეთში. მას სარგებლობის გამოტანა ჰქონდა განზრახვაში, და არა განათლების შეტანა იქა. ძაცობრიობის სინილისი და გრძნობა არ მოსულა ჯერ ამ უმალღეს ხარისხამდე. სანამდის მაგალითის არ ვნახეთ მანამდის ჩვენ არ გვეჯერა „უან გარო მზრუნველობა.“

ყოფილიყო დაწერილი, მაშინ, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა და საქებიც იქნებოდა უფალი პ—ის სტატია, „დასაწყისი თუ დასასრული“; მაგრამ დღეს კი აღარა აქვს ის მნიშვნელობა, რადგანაც აფუძველი, რომლითაც ის ხელმძღვანელობდა, ე. ი. კ—იდან გამოგზავნილი კორესპონდენცია, სრულ სიპართლეს არ შეეცაგს. აი როგორ არის ეს ამბავი: ძველათ გამოჩენილ გვარებს ჰქონდათ თავისი საკუთარი სამლოცველო და სამარხი მონასტრები; ეს მონასტრები შეადგენდნენ საკუთრებას რომელიმე გვარისა და ის თავადის გვარი ეკლესიური იყო, რომ საზრდო მიეჩინა მისთვის. მაგალ. წერეთლებს ჰქონდათ ზრუჭი და აბაშიძეებს—პაცხი. ამ წერეთლებისა და აბაშიძეებისაგან შეწირული ანუ მიჩენილი ყმები არ იყვნენ თავისუფალი და მოკლებული ამ შემწირელების ბატონობას, რადგანაც თვითონ ის მონასტრები არ იყვნენ თავისუფლები და სრულიად ექვემდებარებოდნენ აბაშიძეებს და წერეთლებს, როგორც მათი საკუთარი სამლოცველო და ამარხი. 1820-ში ეკზარხოლმა თეოფილაქტემ ეს რომ ნახა, გაიკვირა და მოინდომა ამ მონასტრებს ბატონები საგან განთავისუფლება ერთად შეწირული ყმა და მამულიანათ. ატყდა საჩივარი, მაგრამ იმერეთის დროებითა სასამართლომ საბუთების განხილვის შემდეგ ის მონასტრები მათდამი შეწირულის ყმებიან-მამულიანა დაარჩინა აბაშიძეებს და წერეთლებს. ძანტორამ დაარღვია ეს განჩინება და შერიცხა საეკლესიოთ; მაგრამ იმ დროს მთავარ-მმართველი მენიამინოვი დაეთანხმა დროებითი სასამართლოს გარდაწყვეტილებას და დაარღვია ძანტორის განჩინება; საქმე სენატამდ მივიდა, სენატამც დამტკიცა მთავარ-მმართველის გარდაწყვეტილობა და ამ ნაირათ წერეთლებს და აბაშიძეებს დაუბრუნდათ მონასტრები მათის მამულით. დღეს, როდესაც საეკლესიო ყმა და მამული ირიცხება ახელმწიფოთ, ახალმა სასამართლომ გაუქმეს მონასტრის მებატონეებს, აბაშიძეებს და წერეთლებს, რომ იმათ უნდა აძლიონ

მონასტრებს გადაჭრით იმდენი ფული, რამდენიც დაფასების კვალზე შეუდიოდა მონასტრებს იმ მიჩენილი ყმა და მამულისაგან. აი საქმე ამ გვართ არის და თუ იმ მიწებს, რომელიც შეწირული ჰქონდათ მონასტრებს არ დაუბრუნებენ წერეთლებსა და აბაშიძეებს, მაშ საიდან უნდა აძლიონ ნარდათ გადასახადი და რათ უნდა დაიბეგრონ მკვლელობის გადასახადით?

დასასრულ შევნიშნავ ამასაც, რომ ის წერილი, რომელზედაც კ—ლი კორესპონდენტი სწერს, არ დასწრებია განჩინების შედგენის დროს და თუ იმდენი სულგრძობება არ იხმარა და ხელი არ აიღო თავის საკუთრებაზე, მე მგონია, ამაში ის მაინცა და მაინც ბევრმა ვერ გაამტყუნოს. საქმე იმაში კი არ არის, რომ მათ თავის საკუთრება დაიბრუნეს, ჩვენის ჰაზრით ცუდი ის იქნება, თუ იმათ თავის საკუთრებას სხვისიც გააყოლებს და სხვების შეწირული ყმა და მამულიც მიითვისეს და მათზე მოინდომეს უსტატენის გრამოტის შედგენა...

Z

შ ი ძ რ ი კ ი

მკ, რა მშვენიერი ალაგებია შოთიდან დაწყებული შირიშამდე შავი ზღვის გაყოლება. მთელი ჰავა, ზღვა, რომელიც აერთებს მეროპას და რუსეთს ამ ნაპირებთან, და შევნიშნო მიწა დასავლეთის კავკასიისა. მაჭრობა და სამუშაო აქ აუარებელია, ოღონდ კაცმა ხელი გაანძრია, მაგრამ ვინ გაანძრევს... ჩერქეზები და ახახები, უწინდელი იქაური მცხოვრებლები, ხომ აღარ არიან. ღროთა ვითაების გამო იმათ დაგდეს თავისი ქვეყანა. მიწა აუარებელია, ბევრათ უკეთესი, ვინამც ზოგიერთ ჩვენს ადგილებზე. მაგალითად ზემო იმერეთში და რაჭაში რომ მიწებია, ამ ზღვის კიდებზე და ჩერქეზეთში ათჯერ უფრო მოსავლიანი მიწებია: მრავალი ტყე, შევნიშნო საბალახოები, კარგი მომცევი ალაგები. მითომ გზა არ გქონდეს თუ გასასაღებლათ, ვინიცობა, რომ ჰირნახული მოგვივადეს? მ. მალეთიდან, რუსეთიდან ხომალდები, ბარქანები და ცეცხლის გემები აუარებელი მოდის ზღვის პირებზე. ოღონდ მოიყვანე რამე და ფასი ერთი ორათ ექნება. ახლა თუ, ვინიცობა, წასვლა გინდა მდღესაში, ბათუმს, ტრაპიზონს, კოსტანტინოპოლს, ან სხვა საეპრო ქვეყნებში, გაეჭირაღეს თუ?

დავი და ურწმუნო არიან. მე ხშირად მინახავს, თქვა ღ. მამაცაშვილმა, რომ გლეხებისთვის ოჯახის ავიჯულებს გაეყიდოთ, რადგანაც მათ საფოშტო ფულის მოხერხება რა ჰქონიათო.

მ. ანდრონიკაშვილმა ერთი მშვენიერი მაგალითით დამტკიცა, როგორ ეთვისება ქვეყელი ახალი საქმე, საცა ის კეთილია, აზოგადობას. პირველად, როდესაც ჩვენ ასწავლებლები ვაგვიხსენს რუსებმა, მაშინ ვდამამებს ქირას აძლევდნენ, ოღონდ კი შეეყვანათ თავის შეილები სასწავლებელში. დღეს ჩვენ პირიქით ვაძლევთ ქირას, ვეხვეწებით ჩვენი შეილების აღზრდას, აგრამ გინახებდნენ ადგია არ არის, ახალს რ აკეთებენ და ვრჩებით უსწავლელნი. როდესაც ხალხს მოემატება სიმდიდრე, მაშინ ის მტრს გარდასხადს და სამსახურს აუწყებს სახელმწიფოს, თორემ დღეს გალაკეტული გლეხი რას მოგცემს, აბა?

მ. ი. ჰავჭავაძემ დასძინა, რომ თუ გლეხები თითონ არ შეიყვანა კაცმა ახალ მუსაობებში და მოგებებში, ისე ის ვერაფერს ვერ გამოიყენებსო. მაგალითად მოიყვანა ემცების კოლონიები და გვერდით ქართული სოფლები. პირველები მდიდარი, კმაყოფილი და მილიონების შემძლე არიან, მაშინ როდესაც მეზობელი სოფლები ისე იმდენის დროის სიღარიბეში და უმეტრებაში

დაჩინილანო.

ბასიის დაბოლოების დროს უ. „საზოგადოების“ პრეზიდენტმა და ერთმა დენერალმა ის აზრი გამოაცხადეს, რომ ხალხი არ უნდა დაეჩივით ყოველთვის დახმარებას და ხელის მოკიდებას, როგორც ბოეშვი. მაშინ, ის დაკარგავს თვით-მოქმედების ნიჭს და ეს ას წილად უარესი არისო. საზოგადოებამ გადაწყვიტა, აღმოუჩინოს უფ. ახელედანან შემწეობა, მაგრამ რა რიგი—ეს კი არა. ამ საქმის შემდეგ ვილაც ნემცვა თავის ღვინოები წარმოადგინა.

მაგრამ ჩვენ აღარ დაერჩენილვართ სხლამის ბოლომდის.

აქ ჩვენ შეგვიძლია, აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ „მთელმა საზოგადოებამ“—გარდა ერთის წევრისა, და მ წევრს ჰქვიან უ. დავიდოვიჩი—კმაყოფილებით მიიღო უ: ახელედანანის პროექტი. ჩვენ ვერ ვიტყვი, როგორს შემწეობას მისცემს „სამეურნეო საზოგადოება“ საამხანაგო მეცველებით ქარხნების გასამართველად, მაგრამ, რომ ის რაიმე ნაირად საქმითაც დამტკიცებს თავის თანაგრძობას ამ საქმისადმი—ეს კი, ვგონებ, უეჭველია.

მართლა, რა შუბლით ეტყვის „საზოგადოება“ უარს უ. ახელედანანს, როდესაც ეს საქმე საზოგადო კეთილდღეობას შეეხება,

იმერეთიდან ძანეტს წასვლა უფრო ძნელი იქნება, ვინამც ამ ქვეყნებიდან სხვა და სხვა საეპრო წერტილებზე მიწვევა. ბუნება და გარემო მდებარეობა ისეთი აქვს ამ ზღვის პირებს, რომ კაცის სიმდიდრეს ფრთებს ასხამს; ოღონდ კაცმა იმუშაოს, თორემ ათასია ისეთი საშუალება, რომლითაც ის მალე გამდიდრდება და კეთილდღეობაში იქნება. მაშ რასა შერება ჩვენი ხალხი, რომ ვერ იფიქრა აქამდის ამ ქვეყნისკენ გამოსწევა? ამბობენ, საშობლო, თავის კუთხეზე, ვერ დაუგდია! მაგრამ სულ ერთ კუთხეზე, ერთი ფენის დადგმა ადგილზე ხომ ბუნებრივით ვერ შეეუბრუნება კაცი, აღრე თუ გვიან ხომ მაინც უნდა დაავდეს ზოგიერთმა ჩვენმა ხალხმა თავისი სოფელი, რადგან მიწა აღარ იქნება. ისე ის არა სჯობია, ახლავ შეუდგენ თავდარიგს, სანამდის ზღვის პირის ქვეყნები სხვებს არ დაუჭირათ და ვერ კიდევ ადგილი ბევრია. თუ კაცი თავის კუთხეზე იტყვის, მენდლევა იმის დაგდება, განა ძავეკასია, საცა უნდა იყო, ჩვენი კუთხე არ არის? მთელი კავკასია ჩვენი მიწა-წყალია, ჩვენი ქვეყანაა. კავკასიის ქვეყანაში, რა მანძილზედაც უნდა ვიდეეთ ერთი ერთმანეთზე, მაინც უნდა ეფიქრობდეთ, რომ ჩვენს მიწა-წყალზე გვიდგას ფეხი, მაინც აზრში უნდა გამოვიხატოთ, რომ ჩვენ ქვეყანაში ვიქნებით. ბინდ ჩერქეზების ქვეყანაში დავესახლოთ, გინდ ღლისტანში, ყოველგან ჩვენი საშობლოა. ახლა რომ ასე ეთაკილობთ ჩვენი მამა პაპის სასოფლოდგან ფენის გადადგმას, შემდეგ როცა დღეს კიდევ დაცალიერებულ ალაგებს ჩერქეზეთში სულ სხვა ტომის ხალხები დაიჭერენ და ჩვენშიაც აღარ ევგომება გამოჩაღლებულ შთამომავს, მაშინ უარესი არ იქნება, რომ ცხოვრების ლუკმისათვის უნდა ჩასხდნენ ხომალდებში და გადაიკარგონ სულ სხვა ქვეყნებში. დღეს სიციწრობის გამო ვეროპის ხალხებიც ასე შევბიან. მომეტებული სიმრავლისა გამო ისინი თვალკრემლანები მიდიან ამერიკაში. რატომ ჩვენც არ უნდა მიველოდეთ ამას? დღესაც რაჭაში და სრულიად იმერეთში ისეთი სიციწროვაა, რომ არ იციან რა ქნან, საით გასწიონ, საით წავიდნენ; მეორეს მხრით შოთიდან მოკიდებული შირიშამდის მთელი კავკასიის მთაზე, შავი ზღვის გაყოლება, წერტილებსავით მოჰკიდებია უცხო ტომის ხალხები: ბერძნები, თათრები, ურები და კიდევ სხვანი. ისინი თან-და-თან იჭერენ ამ კავკასიის ალაგებს და მალე ერთი გოჯა ადგილიც არ დარჩება დაუკავებელი. ამაში რომ ეხედეთ, ჩვენ რა უნდა მოვანერხოთ? ამისთანა კითხვები მოსვენებას არ მაძლევდენ, როცა ამ შევნიშნო ზღვის კიდებებს ვხედავდი, რომელიც ვერ კიდევ არ არიან განაწილებულნი უცხო ტომებს შორის, მაგრამ ელიან კი. ადგილებს აძლევენ აქ ყველას, ვინც კი ითხოვს; მაშ ყველა ჩვენი

მაშინ როდესაც კერძო კაცებისთვის აღმოუჩენია მას შემწეობა მრავალ გზით?

მეორეს მხრით, ჩვენ ვისურვებთ, რომ უ. ახელედანანმა განაშროლოს „საზოგადოების“ დარწმუნება, დასდეს ჩვენს საზოგადოებაში რომელიმე ცხოველი საფუძველი და დაუმტკიცოს ჩვენს ხალხს, რომ ყველა ახალგაზდა მოთავე თავის ჯიბის გასასქელებლად როდი მოქმედებს, რომ იპოვებია ისეთებიც, რომელთაც ხალხის სიღარიბე და სიბნელე აწუხებს, არ ავიწყდება, და რითაც დააშველებენ მის მდგომარეობის აღმადგენას—თუ გინდ საამხანაგო მეცველებით ქარხნების დაარსებითა—იმითი იღეწიან მისთვის. ჩვენ კიდევ ვისურვებთ, რომ უ. ახელედანანმა განსაკუთრებით ამ მხრით შეხედოს საქმეს.

* *

მსლა პატარა საყვედურს ვეტყვი უფ. არწრუსს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულყოფილი არ იყო საჭირო გამოდევნობა ის უფ. დავიდოვიჩის ერთს საგანზედ. მს საგანი არის ის, როცა დავიდოვიჩი ამტკიცებდა: „თუ ერთს შევეწიეთ, მაშინ ყველას უნდა შევეწიოთ, და ამის ღონე ჩვენ არა გვაქვს. მაშასადამე—ბრძანებს ლოლიკოსი—ნურავის ნუ შევეწიეთო.“

* *

ჩვენ მხოლოდ ერთს ჰკითხვას მივსცემთ

ქვეყნის გულის შემატკიცარი. ახლა ამას უნდა ცდილობდნენ, რომ გაქორციელებულ ჩვენს გლეხს, რომელსაც ერთი მუჭა მიწა არა აქვს თავის ქვეყანაში, აქეთ გამოასწავლოს. მაგრამ ამისთანა სწამს უნდა საზოგადოების შედგენა, რომელიმე უნდა ითავოს ეს საქმე. ი. უნდა [ავტორი] [სახელი] [სახელი] გლეხებში, რომ ჩერქეზეთისკენ გადაიხახლონ; ამასთანავე ის უნდა გახდეს იმათი შუამდგომელი მთავრობის წინაშე, რომ მან სესხით პირველ დასახლებისთვის ხელი გაუმართოს და ამას გარდა თვითონ ამ საზოგადოებაშიც უნდა უსაშუალოდ გლეხებს, რომ გაუადვილდეთ მათ პირველი დაძვრა სახლ-კარიანა თავის ქვენითგან და დასახლება მდიდარს ჩერქეზის ქვეყანაში. ამ ქვეყნებში ყოველივენი მრავალია. შუიძენი მოდის ტყეთ, და ნაკარს არ აყრის, ერთი სიტყვით აქ ბუნება ამბობს: მოდი და ყოფა-ცხოვრება შეიკრიბეთო. არც ჩვენი გლეხობა იქნება უარზე, ოღონდ მხნე და საქმის მიმდევ კაცები გაჩნდნენ, რომელთაც შეეძლოს ამ დიდი საქმის კარგათ წაყვანა.

მ. წერეთელი.

უცხო ქვეყნები

საზოგადოებრივი

საფრანგეთის მართვა—ცოტას ხნით—კიდევ მონარხილებს დარჩენიათ ხელში. შინაგანი საქმეების მინისტრს, უ. ბროლის, ახალი სამინისტრო სულ მონარხილებსაგან შეუდგენია. ამ ნაირი აშკარათ თავისუფლებისა და მთელი საფრანგეთის ხალხის სურვილის ბრძოლა, ჩვენის აზრით საუკეთესოა რესპუბლიკის მომხრეებისთვის.

ამ შემთხვევაში უ. ბროლის და მის ამაღლას მთელი რესპუბლიკელი პარტია დაუხვდება გზაზედ და ჩვენ მალე ენახეთ თავდაღმა-დაცემულ ბროლის, დღეს ასე მზარ-გასხმულს.

სააკილოა იმისი ეჭვი, რომ ის ძლიერი ცხოვრების დენა განათლებისადმი და თავისუფლებისადმი, რომელიც არსებობს საფრანგეთში, გაჩეროს ან მოსპოს რომელიმე მინისტრმა, რომელიმე მეფემ.

მაშინ ეთქმის დაქანცულს, მიყრუებულს და გალავანს გარეთ გადადებულ დღევანდელს სრულ-შემძლებელ მინისტრებს: იმის სიცილსა აქვს ფასი, ვინც ბოლოს იცინის თქო.

„სამეურნეო საზოგადოების“ წევრს უფ დავიდოვიჩს:

წარმოვიდგინოთ, რომ ის კაპიტანია, რომელიმე ცეცხლის გემისა. წარმოვიდგინოთ, რომ მან თავის მგზავრობაში დაღუპული სხვა ხომალდი ნახა, და იმ ხომალზედ მოგზაურებს დააფორიკებს ზღვის ტალღა. იმ მიზეზით, რომ კაპიტანი დავიდოვიჩი ყველას, რომელიც იხრჩობიან, ვერ გადაარჩენს, განა არც იმათ მიეშველება, რომელსაც მოეხერხება წყლიდან ამოყვანა? მანა, იგივე კაპიტანი დავიდოვიჩი თავის გენიალური მოსაზრების ძალით—არ უბრძანებს სანდლები გადაუშენ ზღვაში? ჩვენ ამაზედ უპასუხებთ შემდეგს:

ამ ნაირ თავისებურად გულჩივლ კაპიტანს ზღვის კანონი უთუოდ და ყოველად მიუცილებლად დახვრეტინებს, ან და გიყვების სახლში გაგზავნის.

* *

მრთიკ კიდევ: „ხალხში თვით მოქმედების ნიჭი“ არ უნდა დასუსტოვო, რომ გაეფორნეთ—ეს კემპარიტად გონიერი და კეთილ შობილი აზრია ხოლომე, მაგრამ, როგორ ხდება ეს, რომ ხშირად აბრკოლებენ და ასუსტებენ ამ ნაქებ თვით მოქმედების ნიჭს?

მეველი.

—ნაციონალურ კრებაში კიდევ ორი რესპუბლიკელი კანდიდატი აღურჩევიდა ხალხს, ორივე ტიერის მეგობრები არიან.

ამ ორ სამ თვეში კიდევ რამდენიმე დეპუტატები არიან ასარჩევი სხვა და სხვა დეპარტამენტებში და ამბობენ, რომ უეჭველად აქაც რესპუბლიკა დარჩება გამარჯვებული.

—ბაზენის პროცესის მსვლელობა სულ უფრო და უფრო ამტკიცებს იმპერიის წყობილობის სიძაბლეს და უფარვისობას. ბაზენი თურმე გესლიანთი იღივება ხოლმე, როდესაც მოწვევები ააშკარებენ ნაპოლეონის და მისი უფროსი კაცების უნიჭობას და უსინდისობას.

—შესანიშნავ პარიჟელ ჟურნალისტს და ხალხის დეპუტატს ლოკრუას და მრდინერს შემდგომი აზრი შეუტანათ ნაციონალურ კრებაში დასამატებლად შანგარნიეს წინადადება: მარშალი მაკ-მაჰონის უფლებების გაგრძელებად მანამდის ნუ შევა ნაც. კრება სჯაში სანამ არ გათავდეს ბაზენის პროცესი.

მს პირდაპირი ექვია მარშალს, რომ ისიც უთუოდ გაისვრება ამ საქმეში. რასაკვირველია მონარხულმა პალატამ არმიოლო ეს აზრი პატივის-დებამ.

—როდესაც მარშალი მაკ-მაჰონის უფლებების გაგრძელებად ლაპარაკი ყოფილა ნაც. კრებაში, მაშინ რესპუბლიკელ დეპუტატს ბერტოლდს ეს აზრი წარმოუთქვა მს:

„მქვენ შეგიძლიათ, გაგრძელოთ რომელიმე უფლება 5, 10 და 30 წლის ვადით, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს უფლება შეურყეველად დარჩება. ჩვენ არ შეგვიძლია ვაგვთ პასუხი შემდეგი თაობისათვის. შევლა თაობამ თითონ თავისთვის უნდა გააკეთოს ის, რაც მას მოუხდება.“

საქართველო

ლუარსაბ შიჭინაძეს სამეფო

წარსულ კვირაში აქაურ სამსახურლო პალატაში იყო ერთი საქმის განხილვა, რომელიც, უეჭველია ჩვენი მკითხველებს უმეტეს ნაწილს, იმერეთში კი თითქმის სუყველას, გაგონილი ექნებათ.—13-ს ამ თეი-

სას, სამშაბათს, გადაწყდა პალატაში შოთის პოლიციისტირის თანაშემწეთ მყოფის, უფ. ლუარსაბ შიჭინაძის საქმე.

საზოგადოებამაც და მთავრობამაც დიდი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს დაწყებდგანვე. ბევრი ლაპარაკი, ბევრი სჯა და ბაასი ყოფილა ამ საქმეზე, ბევრი დაედარაბა და აქალ-მაყალი შემდგარა ამ საქმის წარმოების დროს, ბევრი კანონიერი და უკანონო ცდა და ხერხი უხმარიათ შიჭინაძის წინააღმდეგ და სასარგებლოდ, მანამდის საქმე აქაური სამსახურლო პალატამდინ მოაღწევა.

უფ. შიჭინაძეს აბრალებდნენ საკატორლოთ გაგზავნილისა და შუა გზიდან გამოქცეულის ბეჭან მესხის თავის სახლში დაფარვას რაოდენიმე ხნის განმავლობაში. თითონ ბეჭან მესხს აბრალებდნენ ერთი მდიდარი ინგლისელის მკვლელობას. რადროსაც ბეჭან მესხი შიჭინაძის ახალ შენობაებში იმყოფებოდა ქ. შოთის, იმ დროს შუი ზღვისპირას იმ შენობაებს მახლობლად იდგა მდიდარი ინგლისელი ინჟინერი სეინსონი. მრთხელ ეს ინჟინერი, შოთიდან შინ მიმავალი, გზაზედ ეილაბსაც მოეკლათ და გავცარცეთ. როდესაც შედგა გამოძიება, თუ ვისგან იქნებოდა მოკლული სეინსონი, მხოლოდ მაშინ შეიტყო პოლიციამ, რომ შოთის შიჭინაძის შენობების მახლობლად მდგარიყო მკვლელობის წინეთ ნატუსალარი ბეჭან მესხი, რომელიც მკვლელობის შემდგომ შოთიდან სადღაც გაპარულიყო. სად წავიდა და სად უნდა ყოფილიყო, შიჭინაძეს შეეცო და პოლიციისათვის ეცნობებინა.—ბეჭან მესხი დაიჭირეს და შედგა გამოძიება როგორც სეინსონის მკვლელობაზედ, აგრეთვე თეითონ ბეჭან მესხის დაფარვაზედ. უფ. ლუარსაბ შიჭინაძე დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს გამოძიების დროს. თავის სახლში რომ ბეჭან მესხს ფარავდა და იცოდა იმისი ეინობა, იცოდა, რომ საკატორლოთ იყო გაგზავნილი და შუა გზიდან გამოიქცა,—ამის დასამტკიცებლად მრავალ მოწვევებს ჰკითხეს მრთს იმათგანს, მართლადც ეჩვენებინა, რომ შიჭინაძე ენახოს რამდენჯერმე ბეჭან მესხთან თავის სახლში მოლაპარაკე. მაგრამ, რაკი ეს მოწამე ციხე-

დამ გამოუშვეს, მაშინვე გადათქვა თურმე და კიდევაც ამბობდა თურმე, რომ რაც ვაჩვენე, ძალადამატანეს და ისე მათქმევინესო. ბევრი ისეთი პირიც გამოჩნდნენ, რომ გამოძიებელთან მივიდოდნენ (გამომძიებლად შიჭინაძის საქმეზედ უფ. ძლიერი იყო) და აცხადებდნენ, რომ ფული გეჩუქეთ, და შიჭინაძის გასამტყუნარს ბევრს რასმეს გიჩვენებთო. მრთი ისეთი მოწამეც გამოჩენილა, რომ უთქვამს გამოძიებლებისთვის: ხელწერილი მამეცი, რომ ჩინს მომცემ და პენციას გამიჩინო, და მაშინ მოწამოთ დავდგები შიჭინაძის წინააღმდეგო.

აქ უნდა ეთქვათ, რომ ჩვენ ამ შენიშვნებით არც შიჭინაძის გამართლება ვეინდა, არც ვისიმე სხვის გამტყუნება. იქნება საზოგადოთ უფ. შიჭინაძე არ იყოს კეთილ მომქმედი კაცი, იქნება მანებელი კაციც იყოს საზოგადოებისათვის. ამ ქვამთ ჩვენ ამ საგანზედ არ ელაპარაკობთ. ჩვენ ახლა მხოლოდ ვეინდა დავამტკიცოთ, რომ შიჭინაძის საქმეზედ ბევრი ყოველად უკანონო და კიდევაც უსინდისო საქმე ჩაუდენიათ ზოგიერთ პირთა. იმ საქმეში, რა საქმესაც აბრალებდნენ, უფ. შიჭინაძე სწორეთ გასამართლებელი იყო და ჩვენ, რასაკვირველია, სრულიად ეეთანხმებით პალატას, რომელმაც სრულებით გაამართლა და განათავისუფლა იმ საქმეში, რა საქმესაც სწამებდნენ. რასაკვირველია, ჩვენ გავვიგონია, რომ შიჭინაძეს დიდი ხანია ემდუროდა ხალხიც და საზოგადოებაც, როგორათაც პოლიციის ჩინოვნიკს. მაგრამ იმასმა საქმემ აღმოჩინა უკანონო და უსამართლო ყოფა ქცევა სხვა პირებისაცა. მაგალითად, ერთს იმათგანს ფიცი დავედო და ეს ფიცი წიგნშია მიეწერა ლუარსაბ შიჭინაძის ბიძისთვის, რომ ან ლუარსაბ შიჭინაძე უნდა დაეღუპოვო და ან მე თავი უნდა მოვიკლაო. და როდესაც შიჭინაძე ციხეში ჩავეთ, ისევე ეს კაცი, შიჭინაძის მოსისხლე მტერი, შიჭინაძის ყარაულთ დაეყენებინათ და ათი თვის განმავლობაში ეს შიჭინაძეზედ ვადამტყრებელი კაცი ზედ თავზედ ადგა.

სამოსამართლო პალატაში ამ საქმეზე დიდი ბაასი იყო პროკურორსა და შიჭინაძის ეექილს შორის. პროკურორი, უფ. ბა-

ლანდინი, ძალიან მხურვალეთ და ენერგიულად ამტკიცებდა შიჭინაძის დანაშაულობას და სთხოვდა პალატას, ცაჭბირსოთ გაეგზავნა სამუდამოთ დასასახლებლად და ყოველი ხარისხი და უფლოდა ჩამატყუნოს მასთვის. შიჭინაძის ეექილი, უფ. სტეფანოვი, ამტკიცებდა იმის სიმართლეს და სთხოვდა პალატას იმის გამართლებას.

პალატამ სრულებით გაამართლა შიჭინაძე ბეჭან მესხის დაფარვის თაობაზედ და მხოლოდ ვადამტყვიტა შტრაფი ხუთი თუშანი პოლიციისპრისტაის შეურაცხყოფისათვის, რადგანაც, როდესაც შიჭინაძე დატუსალებული იყო და პრისტაეი გამოძიებელთან ჰგზავნიდა და თან სალდათებსაც აყოლებდა და შიჭინაძის თხოვნაზედ, ნუ მარცხვენ, მარტოკა გამოვიყო და სალდათებს ნუ გამაყოლეფო,—პრისტაემაუარი უთხრა, მაშინ შიჭინაძეს ეთქვა იმისათვის: „მოიცადე, შენ იქნები როდისმე ტუსალიო (არესტანტიო). პალატამ რომ გამოაცხადა თავის გარდაწყვეტილება შიჭინაძის გამართლებაზედ, პუბლიკაში ბრავოს ძახილი შეიქნა.

ა დ მ რ კ ა ტ ი

დგას არსენალის ქუჩაზედ, მდებლის არდაზიანის სახლში. შეიძლება ნახვა ცხრა საათიდან დაწყებული ორ საათამდის დილით, და ოთხიდან ექვსამდის საღამოს.

Н О Т А Р И У С Ъ

Мелик — Каракозовъ открываетъ нотариальныя дѣйствія съ 22 Ноября въ конторѣ своей, находящейся возлѣ Эриванской площади, въ домѣ доктора Іоанисиани, подъ коммерческимъ банкомъ.

ნ მ ტ ა რ ი უ ს ი

მელიქ-ქარაკოვოვი იწყებს ნოტარიალურს მოქმედებებს 22 ნოემბრიდან თავის კანტორაში, რომელიც იმყოფება ერევნის მეიდნის მახლობლად, დოქტორის იოანისიანის სახლებში, კომმერციული ბანკის ქვეშ.

„დროება“. 1873, № 399			სომხეთ-ფურცელი			თფილისი, 22 ნოემბ. 1873 წ.			
რკინის ზზა	ლილა	სალამო	სამხლის ზემები	ფოზბა	ბირჟა	მან. კაპ.	თფილისის ბაზარი	მან. კაპ.	სახაზინო განსხადებები.
ა) თფილისიდან			ა) შაე-ზღეაზე	ა) თფილისიდან	ბანკის ბილეტი 4% (1858)	—	სურთი	1 10	<p>—15 დეკემ. 1873 წ. ინტენდანტის სამმართველოში ვაჭრობა: იჯარით გაიქცა წელიწადში 1500 ჩეტ. პურის დაქვე და 200 ჩეტ. ქერის დაღერღვა ქლისავეტპოლის მაღაზინისთვის. იჯარის ვადა—ორიდან ექვს წლამდის. დაწვრილებითი ცნობები ნახე „ქავაზის“ №125-ში.</p> <p>—იმვე ინტენდანტის სამმართველოში დანიშნულია ამ წელს 19 დეკემბრისთვის ვაჭრობა ტფილისის ეკლტან-გადმოტანაზედ თფილისის, სტავროპოლის და პეტროვსკის საინტენდატო მაღაზინებში და აგრეთვე სტრახანდამ სტავროპოლში და საზოგადოდ მთელს კავკასიის სამხედრო მაზრაში ერთი ადგილიდან მეორეზედ საინტენდანტო ნიჭების ვად-ზიდვა. (ნახე კავაზის №136).</p>
თფილისი	8.18	8.17	შოთიდან გემი მიდის:	რუსეთს: ყოვ. დღეს, კვირას ვარდა	ბანკის ბილეტი 5% (1860)	96 50	მერი	4 50	
მცხეთა	9.18	10. . .	მდისისკენ—ხუთშაფე. შუადღეზე.	მთუთისს: ორშაფე. ოთხშაფე, პარასკ.	მოგებინი (პირველი სესხის)	159 50	მამა	4 20	
ბორი	11.39	1.43	სტამბოლს—კვირაობით შუადღეზე.	პანეთს, მზურგეთს, ზუგდიდს:	მოგებინი (მეორე სესხისა)	156 25	მატყლი	6	
სურამი	1.52	4.30	სოხუმშიდამ:	პარასკ. ბაქოს: სამშაფათს და პარასკ.	მქრო (პოლიუმპერალი)	6 18	აბრეშუმი	—	
ქვირილა	6 49		შოთს—სამშაფათს, ღამე.	ალექსანდრეპოლის: ოთხშაფე და პარასკევის. (შუადღემდი)	ქურსი		ქონი	—	
მთუთისი	7.55		(მდეს—პარასკევის, შუადღეზე.	ბ) მთუთისიდან:	ერთ მანეთში იძლევიან.		ხორცი (ქონის)	—	
სამტრედია	9.02		ბ) ქასპისის ზღეაზე:	თფილისის და რუსეთს: ორშაფე.	ლონდონში.	32 1/2	ლეინო	—	
ახალ-სენაკი	10.02		ბაქოდამ გემი მიდის:	ოთხშაფე და პარასკ. შოთს და	პარიში	342	სპირტი	—	
შოთი	11.27		ასტრახანისკენ—	სოხუმს: ორშაფე, ხუთშაფე და შაფათს.	ვენაში	—	შაქარი	9 10	
ბ) თფილისისკენ			ასტრახანისკენ—	მთუთისს: ორშაფე, ხუთშაფე და შაფათს.	სკოინი (სარგებლის ფასი)	7 1/2			
შოთი	7.38		თელეგრაფი	შოთს, მზურგეთს, ზუგდიდს	ბარაოს ფურცლები:	—			
ახალ-სენაკი	9.11		მ.ცი სიტყვის ვაგზაზეა	და ახალ-სენაკს: ორშაფათობით	ხერსონის ბანკისა (5 1/2%)	87 50			
სამტრედია	10.12		თით ღირს თფილისიდან:	(სალამომდე)	ხარკოვის (6%)	—			
მთუთისი	11.17			გ) ბორიდან.	მოსკოვის (5%)	88 50			
ქვირილა	12.38			შოველგან: ორშაფე ოთხშაფე და	სიევის (6%)	—			
სურამი	4.57			პარასკეობით (სალამოს შვიდ საათამდე)	აქციები:				
ბორი	7.23				შავიზღვის ციეც. გემების	573			
მცხეთა	9.52				ქავაზის და მერკურის	174			
თფილისი	10.49				შოთი-თფილ. რკინ. გზის	128			
გ) შასი თფილისი-					თფილისის საეჭრო ბანკის	—			
დამ					მდისის საეჭრო ბანკის.	273			
მცხეთამდი	90	68			სალამანდრასი“	327 50			
ბორამდი	3.20	2.40			ქამანისი Двигатель	—			
სურამიდან	5.22	3.92			პირე. უზრუნველ-მყოფი	—			
მთუთისამდი	9. . .	6.75			(страх. общ.) საზოგ	645			
შოთამდი	13. . .	9.75			მეორე უზრუნ. მყოფი საზ.	189			
					პეტერბ. უზრუნვე. მყოფი	288			
					მოსკოვის უზრუნვე. მყოფი	286			